ბათუმში, ვაჟა-ფშაველას #13 მიმდინარე უკანონო სამუშაოები დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს

გვსურს გამოვეხმაუროთ ბათუმში ვაჟა-ფშაველას #13 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და აღვნიშნოთ შემდეგი:

· ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის ივლისის თვეში, ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა #13 მდებარე შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. შესაბამისად, სტატუსის მინიჭების დღიდან შენობაზე გავრცელდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ყველა სტანდარტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული;

· Ḑ□□□□□□ ბათუმელების ინ□ფორმაციის თანახმად, შენობისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭებიდან ხუთი თვის განმავლობაში - სახლს თანდათან მოხადეს სახურავი, მოანგრიეს

შიდა კედლები, მოხსნეს მოაჯირი და 2015 წლის ოქტომბერში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისგან მხოლოდ ფასადის კედელი დარჩა;

· 2015 წლის ნოემბერში, შენობის მესაკუთრე შპს Ḍ□□□□□ A□□□ ბათუმში ვაჟა-ფშაველას ქუჩა #13 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი უკანონოდ დაანგრია. თუმცა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განადგურების ფაქტზე პროკურატურას ეფექტური საგამოძიებო მოქმედებები ამ დრომდე არ უწარმოებია და არ დამდგარა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი;

· მედიაში გავრცელებული ~~ინფორმაციის მიხედვით,~~ მიმდინარე წლის მარტის თვეში კომპანია Ḍ□□□□□ □□□□ ბათუმში ვაჟა-ფშაველას #13 მდებარე შენობის ადგილას სამშენებლო სამუშაოები უკანონოდ განაახლა, თუმცა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან არ მომხდარა უკანონო საქმიანობის აღკვეთა.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საიას მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ:

· დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს შპს Ḍ□□□□□□ □ მიერ, ბათუმში ვაჟა-ფშაველას #13 მდებარე შენობის ადგილას წარმოებული უკანონო სამშენებლო სამუშაოები;

· ყველა შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ (აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ბათუმის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო), დროულად უნდა უზრუნველყონ უკანონო სამუშაოების აღკვეთა;

· საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ - შპს Ḍ□□□□□ □□□ მიერ, კულტურული მემკვიდრეობის განადგურების ფაქტზე, უზრუნველყონ კომპანიის მხრიდან ზიანის ანაზღაურება;

· საქართველოს პროკურატურამ დროულად და ეფექტურად აწარმოოს გამოძიება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განადგურების ფაქტზე და მოხდეს შესაბამისი პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა.